

სიქნო


გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 აპპ.

საქართველოს
ბიბლიოთეკა



— ამხანაგო რიკრიკაჲ! ცუდი მუშაობისთვის საწარმოო განყოფილებაში გადაყვანა!

— საწარმოო განყოფილებაში რა უნდა გავაკეთო? ზადრაკის თამაში არ ვიცი! კალაქში გადავიყვანეთ, ღომინოს მაინც ვითამაშებ!



— კაპიტონი გალაკაძე, მამაშენი მოდის!
— მამაშენი არ არის, დედაშენია!

კაცს შეიჩვევს და მაცდურ მოსახლას,
მერე თხასავით გაყიდის ხელად,
ცხვირს აწითლებს და სახელს აშავებს,
თუმცა თვითონ კი თეთრია ფერად.

ოქროსფერი სითხე გახლავს,
კათხას თავზე ადგას ჭაფად,
მუდამ ნიხრზე მეტად ფასობს,
გამოიცან, აბა, სწრაფად!

გწყენს და მაინც ვერ მოეშვი,
გულს დაგასო ბასრი ეშვი;
სხვა რა გიყო? ჰოო, მართლა,
ფილტვები სულ შეგიმჭვარტლა;
მძაფრი სუნი აგადინა,
ლამე აღარ დაგაძინა,
განლავს დიდი ჭირის დედა,
სახელის თქმას ვერც კი ვბედავ,
ასე რატომ ეტრფი ნეტავ,
ვერაგია მეტისმეტად,
ცხენს კლავს მისი შხამის წვეთი,
რა იქნება, მითხარ ერთი?

ზოთა ამირანაშვილი

„საქართველო“

ქვირზასო ნიანგო!

ქვირზასო მოგივლია, ვის ფარად მოვლენიხარ და ვის — მახვილად! მოდი, ჩვენს ეზოშიც შემოიხედე! მე შენ გეტყვი, შორს წასვლა დაგჭირდება: ბარნოვის ქუჩას ამოჰყევი, აღმართს ამოთავებ და, ცოტას გაივაკებ თუ არა, კერესელიძის ქუჩის დასაწყისსაც მოადგები. შენი მუხლის სიმაგრე ვიცი, აღმართი არ შეგაშინებს, 30 ნომერში ამოდი და ეზოში შემოიხედე!.. ჰო, შემოიხედე! ნუ გაგიკვირდება, შემოსვლაზე უარს რომ გეუბნებით. ძალიანაც რომ გინდოდეს, არაფერი გამოგივა. აგერ მეექვსე წელიწადია, ამ პატარა ეზოში ერთი კარგი ოჯახის გასაწყობი ნივთები ჰყრია, ავეჯით დაწყებული, მაიონზის ქილით დამთავრებული. ვირთხა-თავგვებსა და სიბინძურეს ნუღარ იკითხავ, მაგრამ იმას თუ იკითხავ, ვინ ჰკუთამყოფელმა დაყარა ავეჯი ეზოშიო, მოკლედ გეტყვით: ამ ექვსი წლის წინათ ჩვენმა მეზობელმა ახალი ბინა მიიღო და ავეჯის გადატანა ვერ მოასწრო. სახლის ძველმა მეპატრონემ, რომელიც კარგა ხანია სახელმწიფო ბინაში ცხოვრობს, ეს ოთახი გაჰყიდა და რაც შიგ იყო, გარეთ გამოყარა. ბუნებრივია, ნივთები დაზიანდა. ძველ მდგმურს აღარ მიაქვს: ზარალი ამინაზღაურონო. ახალს თავისი აქვს, არც ჩვენ ვართ ხელნაკლულად და, აჰა, ამ ციციქნა ეზოში შმორისა და სიღამპლის სუნი დგას...

ერთი სიტყვით, ძვირფასო ნიანგო, ნუ დაიზარებ, მოდი, შენს ვახარებას. ჩანგლით ნუ დაიმძიმებ ხელს: ეზოში შემოხვალ თუ არა, იქვე, ხელმარცხნივ. სამზარეულო კარადა დგას, ერთ-ერთი უჯრა გამოადე და მტყუანს შენებურად დაუცაცხანე!

პერესელიძის ქ. № 30-ში მცხოვრებნი

პატივცემულო ნიანგო!

ახალგაზრდები ვართ და ძალზე გვიტაცებს სპორტი, განსაკუთრებით — ფეხბურთი. ბურთი უამრავი გვაქვს. მაგრამ სად ვითამაშოთ? იქ, სადაც სტადიონია, ძროხები ბალახობენ. ნუთუ აბაშის რაიონში საძოვრები არაა, რომ სოფელ სამიქაოს ახალგაზრდობას ფეხბურთის მოედანი ცხოველებმა არ წაგვართვან? სად არ ვიჩივლეთ, მაგრამ სოფლის ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მოგვაქცია. თქვენ მაინც ნუ დაგვტოვებთ უყურადღებოდ! გთხოვთ, დაგვეხმაროთ სტადიონის დაბრუნებაში!

ფახაშურთის მოხვარულნი

საყვარელო ნიანგო!

ვცხროვრობთ ქ. მახარაძეში, ბათუმის ქ. № 2-ში. ჩვენი ონკანებიდან გამოსული წყალი დიდ სიხარულს გვანიჭებს, მაგრამ ეს სიხარული ძალზე ხანმოკლეა... წყალსადენის მესვეურები გვეუბნებიან, წყლის მილებში წნევა არ ყოფნისო. სამაგიეროდ ჩვენ მოგვემატა წნევა.

ერთი ასეთი შეკითხვა გვაქვს და, თუ შეიძლება, გვიპასუხეთ:

ვალდებულნი ვართ თუ არა, წყლის საფასური გადავიხადოთ? ან მეზობლის ქიდან ამოღებული წყლის საფასური ვის გადავუხადოთ?

უწყლონი

ქმარო ნიანგო!

პასპის რაიონის სოფელ სამთავისიდან გაწუხებთ. იქნებ შენ მაინც დაგვეხმარო! დღეს საქართველოში იშვიათად შენვდებნით ისეთ ოჯახს, სადაც არ იყოს ტელევიზორი, მაცივარი, არ ჰქონდეთ ელექტროფონო, რადიომიმღები და სხვა მრავალი ელექტროხელსაწყო.

ყოველივე ზემოხაზოთვლილს ჩვენ მოკლებულნი ვართ. განა იმიტომ, რომ არა გვაქვს? თორქმის ყველა ხელსაწყო გვაქვს, რაც ელექტროდენით მუშაობს. მაგრამ არა გვაქვს მთავარი — ელექტროდენი. ზოგჯერ, ღამის 12 საათზე, გავგანარებს იგი, მაგრამ ასეთ სიხარულს, ისევე ღამის 12 საათზე ყოფნა სჯობს, რადგან 220-ვოლტიან ნათურაში 80 ვოლტიც კი არ აღწევს. ტელევიზორის, მაცივრისა და სხვა საჭირო ხელსაწყოს ხმარებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია!

დაგვეხმარები?

სინათლის მაკიეხელნი

ჩვენო ნიანგო!

ქ. თელავში ვინც ვმუშაობთ, განა ყველა ქალაქში ვცხოვრობთ? ზოგნი იქვე. ახლომანლო სოფლებში ვართ წასასვლელნი, სამსახურის შემდეგ. ამ ბარათის მომწერნი სოფ. ქვემო ხოდაშენის მკვიდრნი ვართ, ვმუშაობთ თელავის № 15 სამკერვალო ფაბრიკაში. წარმოიდგინეთ ჩვენი გაჭირვება: ყოველდღე, დილით და საღამოთი, ავტობუსის პრობლემა გადასაწყვეტი. განა არ არსებობენ ავტობუსები — „თელავი — ქვემო ხოდაშენი“, „თელავი — აკურა“? არსებობენ, მაგრამ ისინი ძალზე ძვირი სანახავია. განსაკუთრებით — 6 საათის შემდეგ, როცა სამუშაო საათები თავდება. თითქოს განგებ, ამ მიმართულებით, არც ერთი ავტობუსი არ მოძრაობს. სამაგიეროდ გაცხოველებული მუშაობა აქვთ კერძო მანქანების მფლობელებს. კაცი 4 მანეთი და წამსვე სახლში მიგასრიალებს! როგორ მოვიქცეთ, გვიჩივ რამე, ჩვენო ნიანგო!

ავტოგუს მოლოდინაძე

ნებინდომ ბურუს!

ნახ. მ. აბაშიძისა
 პერიოდიული
 ბიულეტენი

მეოცე საუკუნის დამლევეს, როგორც ამას მრავალი წინასწარმეტყველი არაერთგზის გვპირდებოდა, მსოფლიოს მოველინა ახალი მესია. გარეგნულად იგი, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, ადამიანს წააგავს.

სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ მეორედ მოსვლა მოხდა არა ბეთლემსა ჰურიასტანისასა შინა, არამედ ე. წ. „თავისუფალი სამყაროს“ სამოთხის კართან — ამერიკის შეერთებულ შტატებში — და 67 წლის ასაკში ახალშობილ მესიას უწოდეს არა იესო ან მოსე, არამედ უბრალოდ ფსიქოლოგიის პროფესორი ბურუს ფრედერიკ სკინერი.

როგორც ვხედავთ, განგებამ ამჟამად ბურუსი მოუვლინა მსოფლიოს. სკინერის პირველ ცდას, გაჭრილიყო ცხოველების ავანსცენაზე, ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1948 წელს, როდესაც დაიბეჭდა მისი რომანი „უოლდენ მეთრე“. შემდეგ მან ლიტერატურული პათოლოგია პათოლოგიურ მეცნიერებად აქცია და სულ რაღაც ოციოდე წლის შემდეგ გამოსცა ახალი ბიბლია — „თავისუფლებისა და ღირსების მიღმა“, რის გამოც ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ მას ოფიციალურად უბოძა ახალი ტიტული — „ყველაზე გავლენიანი ფსიქოლოგი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ყველა დროის უდიდესი ფსიქოლოგი ფროიდის შემდეგ“.

ახლა იმ რელიგიის შესახებ, რომელსაც სკინერი ქადაგებს იმისათვის, რომ მოისპოს ატომური კატასტროფის სამიშროება, შეწყდეს ატმოსფეროს დაბინძურება და ყოველი ადამიანისთვის უზრუნველყოფილი იქნას ლუკმაპური! ამისთვის საჭიროა სულ უბრალო რამ: ადამიანმა უარი უნდა თქვას საკუთარ თავისუფლებასა და ღირსებაზე, რაც, თურმე ნუ იტყვიოთ, მეტად ძვირად უჯდება მას. სკინერი გვემუქრება ახალი წარღვებით: „მე ვცდილობ გიჩვენოთ, რარიგ არასასურველ შედეგამდე მივყავართ პიროვნების თავისუფლებასა და ღირსების ფეტიშიზმისას. თუ ჩვენ მომავალშიც დაჟინებით მოვიტხოვთ უმაღლეს სიკეთედ გამოცხადდეს პირადი თავისუფლება, მაშინ მთელი საზოგადოებრივი წყობილება დაინგრევა“.

გვაპატიეთ, რომელ „საზოგადოებრივ წყობილებაზეა“ აქ ლაპარაკი? კაპიტალისტურზე? მაშ, გამოდის, რომ ე. წ. „თავისუფალმა სამყარომ“ შეიძლება იარსებოს თავისუფლების გარეშე? ჰიტლერი ცოცხალი რომ იყოს, შურიძ დაინგრეობდა.

როგორია სკინერის იდილიური არკადია? თავისუფლება, ღირსება, პატიოსნება და ა. შ. აღარ არსებობენ. ყველაფერი შეიცვალა მართვით, რომლის სფეროშიც მოექცა ადამიანი, მისი მოქმედება, ყოფაქცევა, კულტურა და ა. შ. ამიერიდან ცოცხალი არსება აღარ იწუნებს თავს არც ჭამა-სმაზე არც პროფესიის არჩევაზე, არც გასართობზე, არც საცოლოვე და არც ბავშვების რაოდენობაზე. ყველაფერს, მის ნაცვლად, აკეთებს უზენაესი ოპერატორი, რომელიც ელექტრო-რადიო-ბიო-იმპულსების ძალით მართავს ამიერიდან ჰარმონიულად აწყობილ საზოგადოებას.

ერთი წუთითაც არ იფიქროთ, თითქოს სკინერი საკუთარ მოძღვრებას ზემოთაგონების შედეგად აცხადებს. არა! მან „მეცნიერულად“ დაამტკიცა ყოველივე ეს: იგი იზიარებს პირობითი რეფლექსების თეორიას, რომელიც სწორი აღმოჩნდა ცხოველებთან (!) ცდების დროს: თუ, ვთქვათ, ძაღლი ან თავი ჯილდოს (ხორცის ნაჭერს ან ყველის ნატეხს) მოვლის იგი იქცევა ისე, როგორც ჩვენ გვსურს. თუ ადამიანსაც ამგვარი ჯილდოს იმედი ექნება, იგი ცუდად აღარ მოიქცევა და ჩვენს ცოდვილ პლანეტაზე დამყარდება წესრიგი, მტკიცე მშვიდობა, საყოველთაო სიყვარული და, რაც მთავარია, გაქრებიან მოუსვენარი სოციალისტები, კომუნისტები და რადიკალები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანთა საზოგადოება დაემსგავსება ჯორების ჯოგს, მეჯოგედ კი მოგვევლინება წმინდა ბურუს ფრედერიკ სკინერი. ეს იმითაცაა გამართლებული, რომ სიტყვა „სკინერი“ ინგლისურად ნიშნავს არა მარტო „დაბალს“, არამედ „მატყუარას, თაღლითს“, ხოლო ამერიკულ დიალექტზე — „ჯორების გამრეკს“.

რა ვუყოთ, რომ სკინერი ცდილობს სავსებით გაამართლოს თავისი კეთილშობილი გვარიშვილობა!




— რას უჩივით ამ ბულს? საათივით მუშაობს!
 — საათზე ბიღვით, პეიშო!



— კი გამოსწორდა ჩვენი ბავშვილები, მაგრამ ამ გამოსწორება-გამოსწორებაში შემოგვადნა ხელში.





ნადირობის სპორტის გახსნა.

დავებრე!

ავტონსაქეციაში მორიგე ვარ. მესმის გაბრაზებული კაცის ხმა: მარტო დამანახეთ, რომელი იყო, რომელმა დამღუპა, რომელმა გამწერა ვაზეთში, ავტობუსი დაეჯახაო?

ჩემკენ მოსწავლეს. მოვიდა, იგივე კითხვა გაიმეორა.
— მე ვიყავი, ძია კაცო, რა გინდა?
— რა მინდა და... რატო ან ღმერთისა არა გრცხვენინან, ან კაცისა?!
შენ უწესრიგო შოფრებზე წერილი დაწერო და მე დამღუპო, დამაქციო, შეიძლება? რატო ჩემზე აღარა ფიქრობ? რატო, პა კაცო?! იცი, რა დღეში ვარ? ლამის ბალები გადავმალე, რომ არ იცინონ. მე ხომ იმ დღესვე გამოვედი საავადმყოფოდან, არაფერიც არ მტყენია. ვაი, ნეტა ისევ იმ ავტობუსს მოვეკალ, ვიდრე სირცხვილსა. მეორე დღეს მთელი ჩვენი სოფელი და ნათესაობა მომადლა. იყო 60-მდე კაცი. თან მოიბოდიშეს ჩემს ცოლთან, ვაზეთში წავეკითხეთ და პირდაპირ წამოვედი. როცა დამინახეს სალსალამათი, კონიით თავები ჩამომაცალეს:
— კაცო, ფეხზე ხარ? ცოცხალი ხარ? ვაზეთში იწერა, დიდი ავტობუსი დაეჯახაო და ვიფიქრეთ, დაღუწილი იქნებოდი.
— აბა მაღარიჩი! მაიტა ღვინო! აბა, გაშალე სუფრაო...
გავშალე... იმ დღიდან, სადაც ერთი დაკარგული ნათესავი თუ ახლობელი, ნაცნობი თუ ყოფილი მეზობელი მყავდა, ოჯახებით მოდიან. დღეში ათი-ოცი კაცი მაინც გვესტუმრება ხოლმე. რომ მხანავენ ცოცხალი ვარ: აბა, მაიტა ღვინო, შენი საღვთობა უნდა დავლიოთო. იმ ღვინოს სხვა რამეც ხომ უნდა?... რაც ცოლმა კონსერვები გააყეთა საზამთროდ, ყველას წირვა გამოუყვანეთ. ოთხი თვის ხელფასი წინასწარა მაქვს დახარჯული ამ საქმისთვისა, ვაიგე? ოთხმოცდაათი მანეთით ცოლსა და ორ შვილს ვინახავ და მეტი აღარ შემიძლია! შენ რო მიქენი სიაცე, მტერი ვერ უზამს მტერსა. წამოდი და შენ უთხარი იმ ხალხს რამე, ან ცოტა ხანს ბინა გამოცვალიე, რომ დავიმალე... ან აიღე და დაწერე ვაზეთში აბა და ამ კაცს არაფერიც არ მოხდენია-თქო. დაწერე, თორე არ ვიცი, რას ვიზამ!..

შოთა ხოდახანი

ს. მისალკოვი

ი ვ ა ვ ი

დათვის თავლი

მრამა პიროვნებამ, რომელსაც დიდი თანამდებობა ეკავა, გადაწყვიტა თავის უფროსს ისე მიდგომოდა, რომ სიტყვა „ქრთამი“ არაფის ეხსენებინა... და საჩუქრად დათვის ბული მიართვა.
ცოცხალი დათუნია არც საქონელია და არც ქრთამი, მხოლოდ ბავშვების გასართობია!
ბულიკო მიიყვანეს და, ბაღში, ჭიშკართან დააბეს.
ერთი კვირაც არ გასულა, რომ ბულიკოს საჩუქრად ერთი კასრი თავლი გამოუგზავნეს. აბა, რა ეჭვი უნდა შეპარვოდა ვინმეს, როდესაც გარკვევით იყო ნათქვამი: „ეს თავლი ბულიკომ მიირთვასო“. ოჯახს ჯერ არ გამოეცალა თავლიანი კასრი, რომ მას მეორე, მესამე და მეოთხე კასრიც მოჰყვა.
მაგრამ ვაი, რომ ბულიკოს ერთი წვეთი თავლი არა რგებია. აბა, რა ცხოვრება იყო ნახევრადმშვიერი ბულიკოს ცხოვრება? გახდა, თვალისჩინი გამოვლია...
კიდევ კარგი, რომ ბავშვები ხან სოკოს და ხან მწიფე პამიდორს გადაუგდებენ ხოლმე.

* * *

საქმონებისა და მექრთამეების საქმე ცუდად არის, მათ სახალხო სასამართლოები არ ინდობენ, ამიტომაც ერთიმეორის პატივსაცემად ახალ-ახალ ხერხებს იგონებენ!
გადმოქართულა თინათინ ჯავახიშვილმა

შენვედრა


მოისმა კრიალი და კარებში ვეებერთელა ყვითელი ჩემოდანი გამოჩნდა. ჩემოდანს ჩაკურატებული, ორმოციოდე წლის კაცი შემოჰყვა. უცნობის სახე მეცნაურა და შევეკითხე:
— შემთხვევით, ხარკოვიდან ხომ არ ბრძანდებით?
— გამოიცანით! — გაეხარდა მოსულს, — ნაღდი ხარკოველი ვარ. იცით, მეც რალაც მეცნაურება თქვენი სახე.
— მეტად საინტერესოა, ერთმანეთს არ ვიცნობთ და მაინც ნაცნობი სახეები გვაქვს.
— ისე, ჩვენს შორის დარჩეს, მე კი უნდა მიცნობდეთ, მე ხომ მსახიობი ტერნოვსკი ვარ.
— რას ამბობთ?! — გამიკვირდა და იქვე დავუმატე:
— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ მახსოვხართ.
— ამ ბოლო დროს წესიერი არაფერი შითამაშია და, ალბათ, იმიტომ, — უხერხულად შეიმუშუნა მოსული.
— სიმართლე გითხრათ, უკანასკნელად თეატრში ბავშვობაში ვიყავი, დედამ წამიყვანა წითელქუდაზე. ასე რომ, ნუ გეწყინებათ. აი, მე კი აუცილებლად შეგხვდებოდით სადმე, ტაქსის მძღოლი ვარ. ვერ გამიხსენებთ? ნუთუ არასოდეს გიმგზავრიათ ჩემი მანქანით?
— არა მგონია. ტაქსი იშვიათად ვჯდები. თეატრიდან ჩემს სახლამდე ორი ნაბიჯია. ბელოგორსკზე ვცხოვრობ.
— მეზობლები ვყოფილვართ. რომელ სახლში ცხოვრობთ?
— მეშვიდეში.
— რომელ ბინაში?
— ოცდამეერთეში.
— აბა, ფოკუსი ამას ჰქვია! — გადაინახარა ტაქსის მძღოლმა. — ხატზე შემოძლია დავიფიცო. რომ მეც მაგ ბინაში ვცხოვრობ! ჩემოდნიან კაცს დაეკვება დაეტყო.
— შეგიძლიათ ამიწეროთ ბინა?

— მაგაზე იოლი რაა: სულ ოთხი ოთახია. ორი ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩაზე გადის, მე მიკავია, ორი, აივანით, — მეზობელს.
— ეს მეზობელი ხომ მე ვარ?!
— ჯერ განცვიფრდნენ, მერე იმდენი იციხეს, რომ ცნობისმოყვარეებით გაივსო ოთახი.
— მაინც რა მოხდა ისეთი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ერთმანეთს ვერ შევხვდით, — მოითქვა სული, როგორც იქნა, ჩემოდნიანმა კაცმა. — თქვენ როდის დგებით? ალბათ უთენია.
— შვიდზე უკვე საქესთან ვზივარ.
— მე კი თერთმეტზე მეწყება რეპეტიციები. სახლში როდისღა ბრუნდებით?
— ღამით. ხომ იცით, გემას ამოქაჩვა უნდა.
— ამ დროს მე სპექტაკლზე ვარ.
— გასაგებია, ის ქალი თქვენი ცოლი ხომ არ არის, დროდადრო ცირკს რომ აწყობს?
— ანგელოზის ხასიათი აქვს, — ამოიოხრა ტაქსის მძღოლმა, — აი, სულ სხვაა. ის მეორე...
— რომელი მეორე, — გაცხარდა მსახიობი. — ჩემი თამარი? სანამ რამეს იტყოდე, კარგად დაუფიქრდი. თორემ, იცოდე, მე დეზდემონას პირველსავე ცდაზე გახრჩობ.
— დამშვიდდი, თუ ძმა ხარ! ვის რაში უნდა შენი თამარი, მე ჩემი ნაღიაც მყოფნის!
სათზე დავიხედე. ჩემი დასასვენებელ სახლში ყოფნის დრო უკვე ამოიწურა. ბარგს ხელი წამოვავლე და კარებიდან მივაძახე ჩემს ახალ ნაცნობს:
— კეთილად დარჩენას გისურვებ! იქნებ შემთხვევით ისევ შევხვდეთ ერთმანეთს. მომავალ წელს დასვენებას სად აპირებთ?

თარგმნა ოთარ საღრაძემ

4
1973

73-216
ბიბლიოთეკის ინდექსი 76137



— ქია პატო, დამლაგებელი არ გვირღებათ?
— დამლაგებელი არა, ახლა დირექტორებს ვეკვამ!

ნ.კ. ნ. მაღაზონისი